

# კომაროვის სკოლაში მოსწავლეებისათვის სტიპენდიების განსაზღვრისა და გაცემის წესი

## დებულება

სტიპენდიების გაცემის პირობები:

სტიპენდიები გაცემა მე-8 დან მე-11 კლასის ჩათვლით კომაროვის სკოლის მოსწავლეებზე;  
მხოლოდ 2023-2024 სასწავლო წელს დანიშნული სტიპენდიები გაცემა ამ წლის მე-12  
კლასის მოსწავლეებზე.

გამორჩეული მიღწევების მქონე მოსწავლეებისათვის კომაროვის სკოლაში წესდება  
სტიპენდიები.

სტიპენდია შეიძლება დააწესოს შესაბამისმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.  
კრიტერიუმები განისაზღვრება ამ წესით.

სახელობითი სტიპენდიების გარდა, დონორისგან სხვა ნებისმიერი შემოთავაზება  
განიხილება სკოლის განვითარების (ალუმნების) საბჭოს მიერ.

სტიპენდიების პროგრამის მიზანია:

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება;

კომაროვის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურების პოპულარიზაცია;

პარტნიორობების გაძლიერება;

დონორმა შეიძლება დააფინანსოს ერთი ან რამდენიმე სტიპენდია. ასევე, დონორთან  
შეთანხმებით, შესაძლებელია შედგეს, შეხვედრები დონორსა და სტიპენდიანტს შორის.

ერთმა მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში შეიძლება აიღოს არაუმეტეს ორი  
სტიპენდიისა.

სტიპენდიის რაოდენობა განისაზღვრება თვეურად 100 ლარით. სტიპენდიის  
ხანგრძლივობა იქნება 5 თვე. სტიპენდიების გაცემის ფორმატს აზუსტებს სასტიპენდიო  
საბჭო.

განსაზღვრული სქემის მიღმა სტიპენდიების დაწესების წესს ადგენს სკოლის  
განვითარების (ალუმნების) საბჭო.

სასტიპენდიო საბჭოს ქმნის სკოლის დირექტორი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული  
სამართლებრივი აქტით.

სტიპენდიანტების სია განისაზღვრება სასტიპენდიო საბჭოს მიერ წელიწადში 2-ჯერ.  
გაზაფხულზე (არაუგვიანეს 1 მაისისა) და შემოდგომაზე (არაუგვიანეს 1 ნოემბრისა).

მოსწავლის ან მშობლის მიერ მასწავლებელთან/დამრიგებელთან/სკოლის ადმინისტრაციასთან ნებისმიერი კომუნიკაცია ნიშანთან ან დისციპლინასთან დაკავშირებით, სტიპენდიის კონტექსტში შესაძლებელია გახდეს მისი კანდიდატურის განუხილველად დატოვების ან/და სტიპენდიის შეჩერების საფუძველი.

ნიშნების კრიტერიუმები შეიძლება იგულისხმებოდეს წინა სემესტრით ან წინა წლით, რასაც განსაზღვრავს სასტიპენდიო საბჭო.

## სტიპენდიები:

### გრიშა წულაიას სტიპენდია

სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი).

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- სტაბილური ათოსანი მათემატიკაში
- დამატებითი კრიტერიუმები მათემატიკის ქვიზების შედეგები.
- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

### ვალერი მელაძეს სტიპენდია

სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი).

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- სკოლაზე ზრუნვა;
- სასარგებლო პროექტების განხორციელება სკოლისთვის;
- აქტიური ჩართულობა სკოლის აქტივობებში.
- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ჯემალ ვეკუას სტიპენდია

სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი). პანსიონის მოსწავლე.

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- საუკეთესო საშუალო ქულა ყველა საგანში;
- ყველაზე მეტი ჩართულობა კლასგარეშე განხორციელებულ პროექტებში და პანსიონის ცხოვრებაში, რასაც აფასებს სასტიპენდიო საბჭო.
- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ნათელა კოლონიას სტიპენდია

სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი).

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- გაიცემა გოგონებზე;
- შედეგები ოლიმპიადებში;
- ზედა კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოსწავლეებს შორის, საუკეთესო საშუალო ქულა ყველა საგანში.
- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## გელა მანელიძის სტიპენდია

სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი).

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- მიიღებენ მათემატიკის ეროვნულ ოლიმპიადაში საუკეთესო თხუთმეტეულში მყოფი მოსწავლეები.
- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ლევან ჯანაშიას სტიპენდია

სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი).

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- მიიღებს ფიზიკის ეროვნულ ოლიმპიადაში საუკეთესო თხუთმეტეულში მყოფი მოსწავლე(ები).
- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ჯუანშერ ჯურხაძის სტიპენდია

სავალდებულო კრიტერიუმები: სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 9 ან 10 ქულა; (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი). ისტორიაში 10 ქულა.

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- მოსწავლეს ისტორიაში აუცილებლად უნდა ჰქონდეს 10 ქულა. განსაკუთრებული ცოდნა და უნარები ისტორიაში.

- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ჯემალ კიკნაძის სტიპენდია

სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი).

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- ყველაზე მეტი განხორციელებული ინოვაციური პროექტი ან გამოგონება, რომელიც გავიდა შესაბამის პროექტში/მიიღო დაფინანსება/მოიგო კონკურსი;
- ფიზიკის ექსპერიმენტულ ტურნირებში მონაწილეობა;
- კვლევით პროექტებში მონაწილეობა.
- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## სიმონიკა სხირტლაძის სტიპენდია

სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ქართულ ენასა და ლიტერატურაში 10 ქულა, სტაბილური (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი).

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- მოსწავლეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში აუცილებლად უნდა ჰქონდეს 10 ქულა. ასევე, ისეთი განსაკუთრებული უნარები, როგორცაა წერის, ანალიტიკური აზროვნების, გრამატიკულად გამართულად მეტყველება-წერისა და ქართული ლიტერატურის ცოდნა.
- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

# კომაროვის სკოლის ოქროს სტიპენდია

---

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- იღებენ საერთაშორისო ოლიმპიადაზე საუკეთესო შედეგის (მინიმუმ ბრინჯაოს მედლის მქონე) მოსწავლეები. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელები შეიძლება მიიღონ განსხვავებული ოდენობის სტიპენდიებს. (არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი წინა სემესტრის განმავლობაში და საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მძიმე/საშუალო დისციპლინური სახდელი).
- ბევრი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში, სასტიპენდიო საბჭოს მიერ, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები.

სტიპენდია გაცემა 5 თვის ვადით.